თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4913168

ნომერი: AR1732028

თარიღი : 07.02.2020

გაცემის თარიღი : 26.03.2020

გაცნობის თარიღი : 26.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. კოსტავას , N 70 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ
დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ქუჩა მ. კოსტავას , N 70 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე
(ს.კ. N01.10.13.031.021) დროებითი სამშენებლო ღობის მშენებლობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი
მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ
სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი
საჯარო რეესტრიდან № 902019953620 27/12/2019წ. საკადასტრო კოდი №01.10.13.031.021,
ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ
ქონების მართვის სააგენტოს პოზიცია) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და
ეთანხმება ქ. თბილისში, ქუჩა მ. კოსტავას , N 70 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N01.10.13.031.021) დროებითი სამშენებლო ღობის მშენებლობის შესაძლებლობას 1 (ერთი) წლის ვადით.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა, ამ შეტყობინების
ჩაბარებიდან 1 წელი

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.